

# საპრობიედი

ეროვნული  
ნიგელითი

საორტული გაზეთი

შაბათი 10 თებერვალი 2001 №22 (1295)

ფასი 50 თეთრი



## კპელი გვარდიაც ფუფუნებს

გვარდიოლა „რეალს“  
თვალეებს უფუფუნებს



## შაქარია თუ ყინული?



შუგარის  
საქმეზე  
მოწმედ  
შერინგემს  
უნმეს



## აზერბაიჯანი ბელარუსი ბულგარეთი

ევრობასკეტ-2003:  
საქართველოს მეტოქეები




## ჭეშმარიტად სარაბოში

ქართველი მორაგბე  
უელსში ითამაშებს



## შბანებს ლუისი ლას ვიგასს?



ნელსონ მანდელა  
მსოფლიოს ჩემპიონს  
იოჰანესბურგში ჩხუბს  
სთავაზობს

# შპრაინა შპრაინელუბით ეოდის

შპრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ის თვრამეტი ფეხბურთელი დაასახელეს, რომლებიც 14 თებერვალს თბილისში ჩვენს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან. სტუმრები ულევინებოდ გვეწვევიან: ნაკრები მთლიანად ორი კლუბის — „დინამოსა“ და „შახტარის“ ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

კახა კალაძის თანაკლუბელი, მლანელი ანდრეი შევჩენკო და არსენალელი ოლეგ ლუჩინი თბილისში რომ არ ჩამოვიდოდნენ, ეს ძნელი მისახვედრი არ იყო — მიზეზი ჩემპიონთა ლიგაა. ვაიკვა ისიც, რომ უკრაინელებს არც ტოტენჰემელი სერგეი რებროვი ეყოლებათ.

უკრაინის ეროვნული ნაკრები თბილისში ამ თვრამეტი ფეხბურთელით გვესტუმრება: ალექსანდრ შოკოვსკი, ვლადისლავ ვაშჩუკი, სერგეი გოლოვკო, ანდრეი ნესმანჩი, იური დმიტრულონი, სერგეი ფიოდოროვი, არტიომ იაშკინი, ვასილი კარდაში, ვიტალი ლისიციკი, ალექსანდრ მელაშჩენკო, ოლეგ ვენგლინსკი (დინამო), იური ვირტი, ვლადისლავ ტიმოშჩუკი, ანდრეი ვორობეი, ალექსეი პოპოვი, მიხაილ სტაროსტიაკი, ანდრეი ვანიუშჩენკო, იაროსლავ ხომა (შახტარი).

უკრაინელები მატჩის წინაღვეს, 13 თებერვალს ჩამოფრინდებიან ჩარტერული რეისით და „შერატონ მეტეხი პალასში“ დაბინავდებიან. სტუმართა დელეგაცია 75-კაციანი იქნება, ამთვან შვიდი ჟურნალისტი.


შეგახსენებთ, რომ 14 თებერვალს, 12 საათზე, ვერ ახალგაზრდული ნაკრები ითამაშებენ „შერატონ მეტეხი“ 15 საათზე კი „ეროვნულზე“ ეროვნული გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. **აბაბა კვანტალიანი**



ყოფილი თანაკლუბელები კახა კალაძე და ალექსანდრ შოკოვსკი ერთმანეთს თბილისში შეხვდებიან

ფოტო: აბაბა კვანტალიანი

# ეპროპის ფეხბურთუი კოპენდანტის საათი ცხადდება იცხრილება: ცხრილები, ქულები, კლუბები



თუ დღეს პრემიერლიგის ცხრილს ჩახედეთ და „არსენალი“ მეორეზე, ხოლო „ნიუკასლი“ მეცხრე ადგილზე აღმოაჩინეთ, ნუ დაიჯერებთ, რადგან მართლმსაჯულების მანქანას შესაძლოა, ცხრილის საკუთარი ვარიანტი ჰქონდეს.


თუ დღეს სერია B-ს ცხრილს ჩახედეთ და „ლაციო“ მესამეზე, „უდინეზე“ მეშვიდეზე, ხოლო „ინტერი“ მეცხრე ადგილზე ნახეთ, ნურც ამას დაიჯერებთ, რადგან იტალიელი პროკურორი და საფეხბურთო მოხელე შესაძლოა, სწორედ ახლა მუშაობენ ცხრილის ახალ ვარიანტზე, რომელშიც საერთოდ აღარ წერია არც „ლაციო“, არც „უდინეზე“ და არც „ინტერი“.

თუ დღეს ბუნდესლიგის ცხრილს ჩახედეთ... თუ დღეს პრემიერლიგის ცხრილს ჩახედეთ... მაიაკოვსკი საბჭოური პასპორტით ამაცობდა. ახლა ესპანურ, იტალიურ თუ პორტუგალიურ პასპორტებს დასდებით მეტად დიდი ფასი. კარეკას უთქვამს, ცხრა ათასი დოლარი გადაიხადეთ და მიიღებთო. თუმცა ცხრა ათასში არაა საქმი.

კანონი ევროპაში უცხოელთა მოზღვავებას კრძალავს. ცხადია, ევროპაში საქართველოსნაირი ევროპული ქვეყნები არ იგულისხმება. არადა, მიმზიდველია ევროპელობა. დიდებული სტადიონები, ვარჯიშის საუცხოო პირობები, გვარიანი გასამრჯელო, ერთი სიტყვით, ადამიანური ცხოვრება ანუ ის, რაც ბრაზილიის თუ ნიგერიის მიყრუებული პროვინციიდან აუხდენელ ოცნებად მოჩანს. თუმცა საუბარს კალაპოტი შევუცვალეთ, თორემ მეტად გლობალურ პრობლემებთან მოგვიწევს ჭიდილი.

ედუთი დაინყო... „არსენალი“ მინველმა ბრაზილიელმა უცბად გაახერხა პორტუგალიური პასპორტი. ჩავარდა. ამ ამბავს დიდი ხნური მოჰყვა, მაგრამ ერთ კერძო შემთხვევად მიიჩნიეს და კვალს აღარ გაჰყოლიან. მერე „უდინეზს“ ლეგიონერებს უპოვეს ყალბი პასპორტები, იგივე „სენტ ეტიენში“ მოხდა. თურმე ედუ აისბერგის წვერი ყოფილა, აისბერგის ამბავი კი მოგეხსენებათ — გიგანტურია და წყალშია დამალული. მერე სახელები? რეკობა, ვერონი...

დღეს საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის სამართალდამცავებს ინგლისელი და გერმანელი კოლეგებიც შეუერთდნენ. ხუთ უძლიერეს ევროპულ დივიზიონში უკლებლივ ყველა უცხოელის



პოლიციაში დაბარებული ნოლბერტო სოლანო მრავალთვან ერთერთია

შემომხება იწყება. ინგლისელმა პოლიციელებმა უკვე დაიბარეს არსენალელი ნელსონ ვიგასი და ნიუკასლელი ნოლბერტო სოლანო, 80 კაცი კიდევ რიგში დგას, ხელეებს იფშენებს ბრიტანეთის კრიმინალური პოლიციის შეფი, ფეხბურთის ასოციაციამ დახმარება გეთხოვა, რასაც სიამოვნებით გააკეთებთო.

და შედეგი? არალეგალური ემიგრანტების ქვეყნიდან გაძევება. ევროკავშირის პასპორტჩამორთმეულმა და სამშობლოში დაბრუნებულმა ალვარო რეკობამ იტალიაში დასაბრუნებლად საკონსულოს ვიზისთვის მიმართა. იქამდე ხომ ედუ პირდაპირ „პითორუს“ აეროპორტიდან გააბრუნეს უკან.

და რა ელთი კლუბებს? პასუხი საფრანგეთმა გაგვცა, სადაც „სენტ ეტიენს“ ექვსი ქულა ჩამოაჭრეს და სხვა ქვეყნებშიც იგივეს აპირებენ.

და ეს არ არის მაქსიმუმი. იტალიელები უფრო შორს მიდიან და ამბობენ, თუ დამტკიცდა, რომ ფეხბურთელის პასპორტის გაყალბებაში კლუბების ხელიც ურევია, ეგებ სერია B-შიც ამოვყოფინოთ თავიო.

ასე რომ, ნუ დაუჯერებთ ცხრილებს, ის კიდევ ბევრჯერ შეიცვლება.

გიორგი ღარჯანიანი



აინტრახტი — კობუსი 1:0. აინტრახტი გამარჯვება პორტ ჰელდტის გოლმა მოუტანა



ლიონი — სენტ ეტიენი 1:1. ლიონელი ვიკამ დორასო (მარჯვნივ) შეტოქე მკველვებს გაეცა

<b>გერმანია</b> XXI ტური აინტრახტი 1:0 კობუსი 10 ჰელდტი (65) II გუნდმსლიობა. XXI ტური პანოვიარი 3:0 ზაარბრიუჰენი 10 რაიონსკო (243), 20 ფეიფერი (53)	<b>იტალია</b> სერია B. XXII ტური პესკარა 0:0 კალიარი
<b>გაღმგია</b> XXII ტური ლუვიე 1:1 ბრიუჰე 01 მენდოსა (47), 11 ტურაი (49) ანდერლუხტი 2:0 ანტვერპენი 10 რაიონსკო (243), 20 ფეიფერი (53)	<b>ინგლისი</b> III დივიზიონი XXXI ტური ჩისტარფილდი 2:0 ჩილტენი
<b>საფრანგეთი</b> თასის 1/16 ფინალი ლიონი 1:1 (4:3 პენ.) სანტ ეტიენი 10 ლოკო (51), 11 ფელაბი (57)	<b>თურქეთი</b> XX ტური ტრაზუნ 3:2 სამსუნ
	<b>ჰოლანდია</b> XXI ტური გრამფსხაპი 2:1 სპარტა 10 ფუსი (36), 11 ელბატაი (49), 21 ბრომფი (51)

# ბასა მსაღამის გაუმსაღამელი მოგაგალი

**ტრავმებით** გატანჯული საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ოთხი დღის წინ პირველად გავიდა მინდორზე და „დინამო“ — „მერანის“ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა — კახა ცხადაძის ეს „დებიუტი“ „სარბიელმა“ უკვე გაუწყაო.

ამჟამად კი ცხადაძე კვიპროსზეა, პატარა ქალაქ აიანა-პაში შეკრებაზე მყოფ თბილისის „ლოკომოტივის“ ახლავს თან. თუმც ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ცხადაძე უკვე ლოკომოტიველია. იგი სარეაბილიტაციო პერიოდის უკეთ გავლის გამო გაჰყვა „ლოკომოტივის“. თქმა არ უნდა, იქ მომზადებისთვის გაცილებით კარგი პირობებია, ვიდრე დიდმის საწვრთნელ ბაზაზე.

რკინიგზებელმა კი ერთი საკონტროლო მატჩი უკვე ითამაშეს. მათი მეტოქე იუგოსლავიური „ზემუნ“ გახლდათ. შეხვედრა ფრედ 1:1 დამთავრდა, „ლოკომოტივიდან“ გოლი გიორგი ანაბაძემ გაიტანა. მორიგ საკონტროლო მატჩებს გვიც ნოდის შეგირდები 12 და 13 თებერვალს გამართავენ.

დავით თავართილაძე



კახა ცხადაძე

# მაიერმა შოტას ერთი ტაიმი დაუთმო


**ერთი** დროს მრისხანე ამსტერდამის „აიაქსს“ ახლა რთული დროება უდგას. ბოლო ხანს გუნდი ევროტურნირებზე წარუმატებლად გამოდის და ვერც შინაურ ჩემპიონატში უპყრია ჩვეული პოზიციები. ჯერჯერობით ვერც შოტა არველაძისთვის გამოდგა ეს სეზონი წარმატებული. ჩვენებურმა პოლანდის პირველობის დასაწყისშივე მიიღო ტრავმა და რამდენიმე ტურის გამოტოვებაც მოუწია. ამ ტრავმის გამო ის ვერც ეროვნულ ნაკრებს დაეხმარა ლიტვა-იტალიასთან.

შოტამ ამ სეზონში 12-ჯერ ითამაშა „აიაქსის“ შემადგენლობაში და 6 გოლი გაიტანა. საშუალოდ ორ თამაშში ერთი გოლი ფორვარდისთვის ურიგო მონაგარი არ არის, თანაც მთელი 90 წუთი არველაძემ მხოლოდ ხუთი მატჩი ჩაატარა. ამ დღეებში უცხოურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა თითქოს ჩვენებურით პრემიერლიგის „ასტონ ვილა“ დაინტერესდა.

„მოლაპარაკებას „ასტონ ვილასთან“ ჩემი მენეჯერი ივან ბენეში უძღვება. პირადად მე კი ამ ინგლისური კლუბის წარმომადგენლები ჯერ არ დამკავშირებინან. თუმც პოლანდიურ გაზეთებში ამის შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა“ — გვითხრა სატელეფონო საუბრისას შოტა არველაძემ.

შეგახსენებთ, რომ სეზონის დაწყების წინ არველაძეთი დორტმუნდის „ბორუსია“ იყო დაინტერესებული. გერმანულ კლუბს კვლავაც არ აუღია ხელი თავის სურვილზე. როგორც რევას არველაძემ გვითხრა, ნიონში ევროპის წამყვანი კლუბების შეკრებაზე ის პირადად შეხვდა „დორტმუნდის“ მენეჯერ მიხაელ მაიერს. შოტაზე საუბარმა დაახლოებით ერთი საუთნბურთო ტაიმი გასტანა.

დავით თავართილაძე



შოტა არველაძე: ჭერ გოლი, მერე მალაყი

# დაინწყება, აბა, რა...

**სომ** ნადი ამბავია, 14 თებერვალს საქართველო უკრაინას უმასპინძლებს. საბოლოოდ ბეჭედლასმული არა, მაგრამ ისიც ითქვამს, რომ ეროვნული გუნდი თებერვლის ბოლოსა და მარტის დამდეგს კიოლნისა და მაიორკაზე აპირებს სტუმრობას.

გერმანიასა და ესპანეთში დავით ყიფიანი და რევას დოქტორული ლეგიონერებს ვერ იახლებენ. გამოდის, ნაკრები ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი მოთამაშეებით დაკომპლექტდება. მაშ, როდის დაიწყება ჩემპიონატი? ფეხბურთის ფედერაციამ 24 თებერვალს გასამართი სუ-

პერთასის მატჩი „ტორპედო“-„ლოკომოტივი“ 9 აპრილისთვის გადადო, ჩემპიონატი კი, როგორც გვითხრეს, დანიშნულ დღეს დაიწყება.

უმაღლესლიგელი, რომელიც ნაკრებში ორ ან მეტ მოთამაშეს მიავლენს, 28 თებერვალს თავისუფალი იქნება. ეს გუნდები მეთერთმეტე და მეცხრამეტე ტურის მატჩებს მოგვიანებით ჩაატარებენ, დანარჩენები კი ითამაშებენ.

ახლა ისლავ საკითხავი, გერმანია-ესპანეთში გასამგზავრებული ნაკრების ფეხბურთელები რომელი გუნდებიდან შეირჩევა? **დათო დანილია**

# კოლხეთმა გრიპი დაამარცხა

**გუშინ** ბულგარულ შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა“ მესამე საკონტროლო მატჩი გამართა. მეტოქე უკრაინის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბი „აბოლონი“ გახლდათ. წარსულში კიევის „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელის ვლადიმერ მუნტიანის მიერ დამოძღვრულმა უკრაინელებმა, ფოთელებს ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტიპური ფეხბურთი შესთავაზეს — პრესინგი მთელს მოედანზე, ძალიან ძვირი, ხისტი თამაში, რომელიც ამავედროულად საგოლე მომენტების სიმწირითაც გამოირჩევა, თუმცა კოლხეთმა ადლო აუღეს მეტოქის ტაქტიკას. თავად სამი მომენტი შექმნეს, თუმცა ერთიც ვერ გაიტანეს.

გუშინ, როცა სოსო ფილიას ნესებრში დაუკავშირდით, სიხარული არ დაუფარავს, მაღლობა კდმერთს ყველა ფეხბურთელი ახლა ჯანმრთელადაა, გრიპს უკვე მოვერით და ამ ხნის მანძილზე, რაც აქ ვიმყოფებით, პირველად მეძლევა შანსი 22-ე ფეხბურთელი ვავარჯიშო.

„კოლხეთმა“ უკრაინელებთან ასე თამაშა: ქვანთა; შალამბერიძე, გოროზია, ქუთელია (ტორჩინავა 46), აკობია, ქობულაძე, ლალანძე, კვიციანი, ჭანტურიძე (მუშლაძე 46), ე. გვასალია (ყურაშვილი 46), წიფწივაძე

დღეს და ხვალ ფოთელები დაისვენებენ, ორშაბათს კი „კოლხეთის“ მეტოქე ბურგასის „პორტო“ იქნება. მატჩი იქაური დროით სამის ნახევარზე დაიწყება.

გიორგი მახარაძე



თემურ გაღელია

# დინამო ტორპედოში

**შვენი**ს ათვის ჩემპიონმა „დინამომ“ ვალეის ნაწილი, მართალია, ისევ ვალეის საფასურად, მაგრამ მაინც გადაიხადა. ახლა კლუბს დროებით მაინც თავისუფლად და თამაშად ცხოვრებაც შეუძლია. გუნდის თავკაცები უკვე გაძლიერებაზე ფიქრობენ, მაგრამ თავისუფალი ფეხბურთელიც რომ აღარ დარჩა საქართველოში?

აწ უკვე ყოფილი დინამოელები, პაატა ჯინჭარაძე და ირაკლი ვაშაქიძე რომ გატორპედოელებდნენ, ძველი ამბავია. პაატა და ირაკლი ახლა ქუთაისელებთან ერთად ბელგიაში იმყოფებიან შეკრებაზე. ორივემ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელშეკრულების ვადის გასრულებამდე თუ არა, მეტორმეტე ეროვნული ბოლომდე მაინც რიონისპირელებთან დარჩებიან.

კარგა ხანს ვეძებდით „დინამოდან“ წასულ გიგა გაღელიასა და თენგიზ სიჭინავას. კლუბში მხოლოდ ამას გვეუბნებოდნენ, რუსეთის გზას დაადგენო, მაგრამ რუსეთი ხომ დიდია...

მივაკვლიეთ. გაღელია და სიჭინავა ტურმე გატორპედოელებდნენ. არა, ამჯერად ქუთაისელები არაფერ შუაში არ არიან. გიგა და თენგიზი მოსკოვის „ტორპედო-ზილში“ ისინჯებიან.

საბოლოოდ მათი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილია, თუმცა ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ მოსკოველები ყაბულს არიან, სიჭინავასთან მოლაპარაკებები დაიწყო.

რაც შეეხება გაღელიას, ქართველ ფორვარდზე „ტორპედო-ზილის“ ხელმძღვანელები ჯერ არაფერს ამბობენ, თუმცა დაკვირვება ისევ გრძელდება.

თენგიზ სიჭინავას რუსეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშს წინ ბევრიც არაფერი უდგას, მაგრამ „დინამოს“ ახალი ხელმძღვანელებიც ცდილობენ, ფეხბურთელი საქართველოში დააბრუნონ. ვნახოდ, რას გადაწყვეტს სიჭინავა.

გაღელია და სიჭინავა

გაგუბა კვანტალიანი



თენგიზ სიჭინავა

გაგუბა კვანტალიანი

# რესტორანი მზიანი ღამე



**განსაკუთრებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით  
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

- \* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- \* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3  
(ყოფილი სირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მოგზავნით, გვინდით: კმაყოფილი დარჩებით**


























პოლანდია. I დივიზიონი. 21-ე ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ბრედა-ტვენტე, პსე-ალკმარო, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like როდა-როსენდალი, აიაქსი-ტილბურგი, etc.

პოლანდია. II დივიზიონი. მე-20 ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ექსელსიორი-დენ ჰაავი, იგლსი-ტელსტარი, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ვოლენდამი-მაასტრიხტი, ოსი-დენ ბოსხი, etc.

ბელგია. I დივიზიონი. 22-ე ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like გენკი-ბევერენი, ლიურსი-შარდერუა, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like სტანდარდი-მესელენი, სტანდარდი-მესელენი 0:1, etc.

ბელგია. II დივიზიონი. 23-ე ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like მონსი-სტრომბეკი, ლიუვი-გეკელი, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ტურნაპუტი-დესელი, მოლენბეკი-ჰეკელგემი, etc.

საბერძნეთი. მე-18 ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes item: არისი-პანათინაიკოსი

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ათინაიკოსი-პანაპიკი, ეონიკოსი-აეკ, etc.

12 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes item: პანიონოსი-პაოკ

თურქეთი. მე-20 ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ადანა-იეთფა, ანკარაგოჯუ-იუსთანბული, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ერზურუმი-დენიზლი, რიზე-ბეშიქთაში, etc.

შოტლანდია. 28-ე ტური  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like დანდი-ჰართსი, დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like სელტიკი-რეინჯერსი, სენტ ჯონსტონი-კელმარნოკი

ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება  
12 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes item: უიმბლდონი-მიდლსბრო

საფრანგეთი. თასის 1/16 ფინალი  
10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ბორდო-ნანტი, შატორუ-მარსელი, etc.

პორტუგალია. თასის 1/4 ფინალი  
11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ბრაგანცა-პორტუ, ფერეირა-მარიტიმუ, etc.

პოკეი

10 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like პიტსბურგი-ნიუ ჯერსი, ბოსტონი-ტამპა ბეი, etc.

11 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like რეინჯერსი-ნიუ ჯერსი, მინესოტა-პიტსბურგი, etc.

12 თებერვალი

Table with 4 columns: ID, Name, and three numerical values. Includes items like ოტავა-აილენდერსი, კოლუმბუსი-რეინჯერსი, etc.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

პროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ნერეთლის გამზირი №11

ძუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთაველი — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61





# ანიტა დეფრანსკა

## საპარტოლო მოსინჯა

### ქვემდებარებული ჯარ დუბაი



განსვანა ანიტა დეფრანცი სოკ-ის პრეზიდენტი?

პრეზიდენტის საგარდელს რა გააცემს, მით უმეტეს, თუ იგი ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაშია.

მართალია, სოკ-ის საგარდელს პატრონი ჰყავს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ასეთ დასასრულად იქნება ივლისამდე ლოზანაში საჭირო. მოგეხსენებათ, იმ დღეს მოსკოვში სოკ-ის სესია დაიწყო. გარდა იმისა, რომ რამდენიმე თვეში 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობას შეეცდებიან, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ალბათ, იმის გაგებაა, თუ უახლოესი ოთხი წლით ვინ აიღებს ხელში ოლიმპიური მოძრაობისა და საერთოდ მსოფლიო სპორტის სადავეებს. სოკ-ის ლოცმანობას კი იცოცხლებს, მსურველი არ აკლია, თუმცა... საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც ერთ-ერთ კონსერვატიულ ორგანიზაციად, შერაცხული, არსებობის 107 წელიწადს ითვლის. ამ საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მას შვიდი პრეზიდენტი ჰყავდა — მხოლოდ თეთრკანიანები, და ყველანი კაცები.

ახლა შეიძლება სურათი შეიცვალოს. პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ასპარეზზე ქალი გამოჩნდა, თანაც შავკანიანი.

ახლანაშნის სენეგალს სოკ-ის „მიძი მე არტილერია“ ეწვია. აფრიკული სახელმწიფოს დედაქალაქმა დაკარმა

მწამს, რომ ჩემს ვალდებულებებს, როგორც პრეზიდენტი, უკეთ განვახორციელებ“ — განაცხადა 48 წლის დეფრანცმა.

მის მონდობას ამბავებს ისიც, რომ სხლომის პირველ დღეს მან მსოფლიო სპორტის ყველაზე პრესტიჟული საგარდელი მოსინჯა და ამით თავისებური რეპუტაციაც გაიარა. საქმე ისაა, რომ ავადმყოფობის გამო სამარანჩი ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას. ამიტომაც გახსნის ცერემონიაზე დეფრანცს, როგორც პირველ ვიცე პრეზიდენტს, დაეკისრა ესპანელი მარკიზის ვალდებულებები.

საინტერესოა სოკ-ის ოფიციალური განცხადება. მისი თქმით, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ 80 წლის სამარანჩს აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გაეცდინოს. თუმცა მერვე დღის სხდომაზე გამოჯანმრთლებული მარკიზი უკვე თავის საგარდელში იჯდა.

სხვათა შორის, როდესაც სამარანჩს დეფრანცის თაობაზე ჰკითხეს, უპასუხა: „მან საგარდელი გასინჯა“.

საინტერესოა თავად ამერიკელის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი მასნები აქვს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში.

„მოუხედავად იმისა, იგებ თუ აგებ, ყოველთვის პაექრობა გიწევს. და მე, როგორც ნიხოსანს, ყოველთვის პაექრობა მიწევდა“ — თქვა დეფრანცმა.

და მაინც, ნაკლებ საგარდულია, რომ აფრო-ამერიკელი კონსერვატიული სოკ-ის ყველაზე გავლენიანი თანამდებობა დაიკავოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოკ-ში ადრევე ვეროპლებს მიჰყავთ, მაშინ მანსები მცირდება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური მოძრაობის შვიდი უპირველესი ლიდერიდან ერთადერთი იყო ამერიკელი, დანარჩენები კი ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები გახლდნენ. მათ შორისაა სამარანჩიც.

საგულისხმოა მიმოშილველთა მოსაზრებაც. მათ მიანაით, რომ დეფრანცი, ისევე როგორც პალ შმიტი, საპრეზიდენტო ბატალიების მიღმა დარჩება. მათი აუსტრაიდერთა რიგებში გადასანაცვლებლად საჭიროა პრეზიდენტობის სურვილი ოფიციალურად დადასტურონ სოკ-ის ისეთმა „ქვეყნებმა“, როგორებიც არიან კანადელი დიკ პაუნდი და ბელგიელი ჟაკ როვი. გარდა ამისა, პოტენციურ მეტოქეთა შორის ვარაუდობენ სამხრეთკორეულ ბობულა კიმ უნ-იონგს, რომლის სახელი, სხვათა შორის, ოლიმპიურ სკანდალებს არაერთხელ დაკავშირებია.

სოკ-ის პრეზიდენტის საგარდლის ყველაზე რეალურ მომავალ მფლობელად ალბათ მაინც ბელგიელი ქორუგი, ევროპის ეოკ-თა ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკ როვი ჩანს. გახმაურებულ ანუ-მიცემობის ფაქტბთან მისი სახელი არავის დაუკავშირებია. ასე რომ, მოულოდნელი სულაც არ იქნება, თუ ივლისის არჩევნებში მას გამარჯვებულს ვიხილავთ. მით უმეტეს, რომ იგი ფაგორიტადაც ითვლება. ერთადერთი, ვინც მას შეიძლება შეეცილოს, ეს კანადელი პაუნდი. მისი სახელი ერთხელ ამოტივტივდა იმ სკანდალებთან დაკავშირებით, თუმცა სერიოზული არაფერი ყოფილა. მეტიც, თუ ჩემში ვინმეს ეჭვი შეეპარა, მაშინ სოკ-ის ვიცე პრეზიდენტობა თქვენთვის დამითმიალ და გადადგა.

ამასობაში სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აწ უკვე გადაყენებული თავმჯდომარე დიეჯონი ირწმუნება, უცოდველი არც დეფრანცია, რადგან მან კარგად უწყობდა სოლტ ლეიკში გამეფებული მექრომეობის ამბები, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს. ამ ბრალდებას დეფრანცის დაკითხვა მოჰყვა, მან კი ჯონსონის შემოტევა უარყო, არაფერიც არ ვიცოდით.


ასეა თუ ისე, სოკ-ის პრეზიდენტობის პრეტენდენტთა განცხადებების მიღების ვადა 10 აპრილს იწურება. ჩვენ კი, რაღა დაგვჩენია, დაველოდით მოსკოვის სესიას.

სხვათა შორის, 1980 წელს სამარანჩი სწორედ მოსკოვში გახდა ოლიმპიური მოძრაობის საკეთმპრობელი.

ბიბა გურასაჟილი

# გრდვინვა მერკა

## ნელსონ მანდელას რეპრეზენტანტი და იქვეავე ალის წინადადება



ლენოქს ლუისი პასიმ რაჰმანთან ჩხუბისთვის ემზადება

გლებში“ მოაწყვეს. მე მუჰამედ ალის ნაკვეთზე მსურს საარული, რათა მიმეწონოსანთა კრივი აფრიკის კონტინენტს დაუბრუნო“.

ისევე მელონი: „ლენოქსს თავისი ნიჭის მთელი მსოფლიოსთვის ჩვენება სურს, ამიტომაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ჩხუბს მიესალმება“.

აი, ასეთი განცხადება ცნობა, რომელიც, როგორც მალევე გაირკვა, ბეჭედდასმულ სიმართლეს არ მოიცავს. ვერ გეტყვით კომუნიკაციის რა საშუალებით და რამდენად ოფიციალურად ჩაერია საქმეში ნელსონ მანდელა, მაგრამ ფაქტია, რომ მიწვევა ლუისის ბანაკს სამხრეთ აფრიკის ყოფილმა პრეზიდენტმა კი არა, იქაურმა პრომოუტორმა როლენი ბერმანმა გაუგზავნა და სხვა წვრილ-მსხვილი საკითხების მოსაგვარებლადაც ის ტრაილერს. თავის მხრივ ლუისის ამერიკელმა ვეჟილმა პეტ ინგლიშმა განაცხადა, რომ თემცე სამხრეთ-აფრიკული წინადადება ლუისის გუნდს მაგიდაზე უდევს, მასზე ხელი ჯერ არავის მოუწერია.

ამრიგად ლუის-რაჰმანის ბრძოლის ადგილს დახუსტება მაინც სჭირდება, თუმცაღა სამხრეთ აფრიკისა და ნელსონ მანდელას ამბავი სიმართლეს ჩამოკვავს. ამხელა აურზაური კი იმითაა განპირობებული, რომ ლუისი ბრიტანელია, ხოლო რაჰმანი — ამერიკელი. ლუისიც ამერიკელი რომ ყოფილიყო, ბრძოლა უთუოდ ლას ვეგასში გაიმართებოდა და ამით დამთავრდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ლენოქს ლუისი მძიმე წონაში მსოფლიოს უპირობო ჩემპიონია. იგი IBF-ისა და WBC-ს ქამრებს ფლობს, ხოლო WBA-ს ქამარი სასამართლოს ძალით აქვს ჩამოართმული, თორემ ბრინჯე არც ის წაურთმეგვია ვინმეს. IBF-ის რეიტინგით მერთხე კანდიდატი, პასიმ რაჰმანი ბრიტანელს ორივე ტიტულს ეცილება.

ბუბა სინარულიმი

„აბაღი ამბავი რადიო BBC-ს ეთერიდან მოედო საკრივო სამყაროს: ლენოქს ლუისის და პასიმ რაჰმანის ბრძოლა სამხრეთ აფრიკაში გაიმართებაო. ბრძოლის თარიღი კარგა ხანია დადგენილია — 21 აპრილი, მაგრამ გაურკვეველი იყო (და, როგორც ჩანს, რჩება) ადგილი, სადაც ის უნდა გაიმართოს. ერთმანეთს ლას ვეგასი და მონაკო ეცილებოდნენ, მაგრამ აი, გამოვიდა ლუისის მენეჯერი ფრენკ მელონი ზემოხსენებულ რადიოში და სულ სხვა რამ თქვა.“


მელონის უთქვამს, ლუისის თავის ქვეყანაში ჩხუბი თავად ნელსონ მანდელამ შესთავაზო. ციტატა: „ლენოქსი სამხრეთ აფრიკაში მანდელამ დაპატიჟა. ლუისი მას უდიდეს პატივს სცემს და როგორც კი დაპატივების ამბავი გაიგო, მყისვე დათანხმდა.“

თავად ლუისის ასე უთქვამს: „25 წელიწადზე მეტი გავიდა მას მერე, რაც ალიმ და ფორმემმა „ბრდვინვა ჯუნ-

# NHL რეპუბლიკური ჩემპიონატი

8 თებერვალი

<b>ოტავა 4:2 ნიუ ჯერსი</b> (2:1 1:2 1:0 0:0)	<b>ნეშვილი 1:3 კოლუმბუსი</b> (1:0 0:3 0:0)
<b>ვანკოვერი 0:0 სან ხოსე</b> (0:0 0:0 0:0 0:0)	<b>სინტ ლუისი 4:1 ტამპა</b> (1:1 1:0 2:0)
<b>დეტროიტი 2:1 ტორონტო</b> (1:1 0:0 1:0)	<b>ლოს ანჯელისი 4:2 კაროლინა</b> (0:0 4:0 0:2)




ლოს ანჯელისი — კაროლინა. მატის ნორსტიომმა (ზურგიით) და კაროლინელმა როდ ბრინდამორმა ერთმანეთს გავარიანდ უთავაზეს

**სამართქველს ჩილაოვის ეროვნული ფედერაციი**

<b>11-12 თებერვალს არმიის სპორტულ კომპლექსში (უნევერსიტეტის ქ.ა.2) გაიმართება საქართველოს 2001 წლის ეროვნული ჩემპიონატი</b>
<b>თავისუფალ ჩილაოვაში</b>
შეჯიბრების განრიგი
<b>11 თებერვალი</b>
<b>11 საათი: ნინასნარი შეხვედრები; 17 საათი: შეჯიბრების გახსნა</b>
<b>12 თებერვალი</b>
<b>11 საათი: ნინასნარი შეხვედრები; 16 საათი: ფინალური შეხვედრები</b>
ჩემპიონატის სპონსორები: სს „ქართული შაქარი“, სს „სამორინე აჭარა“, სს „ნიკალა“, სს „ბადაური“

REUTERS პრეტინალივიდან



# ქალაქურად

წუხელ დევისის თასის სანაკრებო შეხვედრა დაიწყო ბრატისლავაში. სლოვაკები კართლ კუჩერა და დომინიკ პრბატი რუსებს, მარატ საფინსა და ეგგენი კაფელნიკოვს ეტოქებიან. მანამდე ცხადია, გარჯიშობა იყო, საფინმა ფეხბურთის ბურთიც კი გამოიტანა კორტზე და რალაც ტაილანდური ფეხბურთის მსგავსი გაახურა. ეს თამაში ეგებ უფრო ჰგავდა ოციოდ წლის წინ გერა-ვაკე-საბურთალოს ეზოებში გრეხეტბოლის(?) სახელით გაგრცელებულ ბურთაობას, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა, რუსებმა ისევ ჩოგნით გარჯიში არჩიეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS მანრიოლიდან

# კვლავ სარაევოში

სარაევოს ახლო ბილანსნიცაში, სადაც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ ზამთრის ოლიმპიადა გაიმართა, ამ ჯერზე რესტორანი იხსნება. რესტორნის ვახსნის ვაძო ხმაური არ შეიქნებოდა, მაგრამ ერთი რომ იგი იტალიელ სამოსის მაგნატ მართო ბენეტონს (მარჯვნივ) გაუხსნია და მეორეც, რომ ბენეტონს ბოსნიის ოლიმპიური კომიტეტის მამა ბოვიჩ ბოგინევიჩი სწვევია. სტუმრობა კი უმთხვევა ბოგინევიჩის მიმართვის სარაევოს ქალაქის საბჭოსადმი, 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე შეიტანოს განაცხადი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში.



REUTERS სარაევოლიდან



REUTERS სიდნეიდან

# რიტუები


განთქმული უელსელი მეგოლფის, ნიკ ფალდოს დილის გარჯიშობამ ძილი დაუფრთხო სიდნეის ტბათა ბინადარ თოლიებს. არა-არა და ვაგახსენდება აღფრედ პიჩოკის ფილმი „ჩიტები“. სინამდვილეში კი სიდნეიში დიადი გრეგ ნორმანის სახელობის ტურნირი მიმდინარეობს, რომელსაც ესპანელი სერხიო გარსია ლიდერობს, ფალდო კი ჯერჯერობით მეორეა.

# მსროლა... პერ ჩააგლო

პორტუგალიის კალათბურთელობა აბა სად თქმულა? თუნდაც ამ პორტუგალიელს ლუიშ ფიგუ ერქვას. მაგრამ კონტრაქტი კონტრაქტია, მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ ხომ „ნაიკის“ კაცია და ამიტომაც მთელი მონაცემებით ჩართულა ამ ფირმის ახალი ნაწარმის პრეზენტაციაში.

# სალასი ვატიკანში

პორტუგალია კათოლიკე ვახლავთ „ლაცის“ ვიჟიპი ჩილელი მარსელთ სალასი. მის ქცევაში ქრისტიანულ-მიმტკვებლური ბევრი არაფერი მოიძებნება, მაგრამ რომის პაპის წინაშე ყოველი კათოლიკე ვაკეთილშობილებას ცდილობს, მით უმეტეს, თუ პაპის წინაშე შეიღობს ერთად წარმდგარა.



REUTERS ვატიკანიდან

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამჯაბათს,  
ოთხჯაბათს, ხუთჯაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ღვინჯიანი  
დირექტორი ბიორგი ოქრომჭალიძე  
რედაქტორი თამაზ მიგრიალი  
ტექნიკური რედაქტორი მახტან ბუნიკაძე  
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბაკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოღუაშვილი, ბადრი კეთილაძე, სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გორგოზიანი, ლალი გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრინიტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge